თბილისი 2019 წლის 3 სექტემბრის

თსუ რექტორის 2019 წლის 15 ივლისის **N180/01-01** ბრძანების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს **N90/2019** 2019 წლის 22 ივლისის **N13** სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2

<u>**სხდომას ესწრებოდნენ**</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

<u>**დღის წესრიგი:**</u>

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, თამარ ლეკაშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება;

<u>**მოისმინეს:**</u>

მედიცინის დოქტორ თამარ ლეკაშვილის მინი მოხსენება, მისი სამეცნიერო საქმიანობის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატმა ასევე, დეტალურად მიმოიხილა საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც ის სთავაზობს მედიცინის ფაკულტეტს.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u>

მაია ბიწკინაშვილმა და თეიმურაზ დოჭვირმა.

მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ თამარ ლეკაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 5 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ თამარ ლეკაშვილის არჩევას.

<u>დაადგინეს:</u>

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის დოქტორი თამარ ლეკაშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ - პროფესორად;

კომისიის წევრების ხელმოწერა

_____

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

_____

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

_____

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_____

მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)